საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1298 2021 წლის 29 ივლისი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის №589 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის №589 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) პირველი პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 28 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარი, მათ შორის:“;

ბ) პირველი პუნქტის 1.1; 1.2; 1.13; 1.14; 1.18; 1.24 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1. ასპინძის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 338 201 (სამას ოცდათვრამეტი ათას ორას ერთი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.2. ადიგენის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 287 116 (ორას ოთხმოცდაშვიდი ათას ას თექვსმეტი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.13. ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 397 674 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.14. ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 168 671 (ას სამოცდარვა ათას ექვსას სამოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.18. სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 388 610 (სამას ოთხმოცდარვა ათას ექვსას ათი) ლარისა, დანართ №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.24. ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 413 785 (ოთხას ცამეტი ათას შვიდას ოთხმოცდახუთი) ლარისა, დანართ №24-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;";

გ) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.25 პუნქტი:

„1.25 მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 214 930 (ორას თოთხმეტი ათას ცხრაას ოცდაათი) ლარისა, დანართ №25-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.";

დ) დანართები: №1; №2; №13; №14; №18; №24; №25 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ. ონის ქუჩებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა (ბააზოვის, რუსთაველის და კახაბერის ქუჩები) (III ეტაპის გაგრძელება)	442 412.0	397 674.0
	სულ ჯამი	**442 412.0**	**397 674.0**